

ლევან მიქაბერიძე

თბილისის სააპელაციო სასამართლოს უვადო მოსამართლე

აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა	2
პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)	4
დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები	4
კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი	5
კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა	6
კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები	9

2006-2012 წლებში ლევან მიქაბერიძე მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში სხვადასხვა პოზიციაზე. 2013 წელს იყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სამდივნოს კონსულტანტი. 2013 წლიდან კანდიდატი ლევან მიქაბერიძე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლეა. 2016 წლის 25 ივლისს იგი 3 წლის ვადით დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, ხოლო 30 ნოემბრიდან უვადოდ განწესდა ამავე თანამდებობაზე. 2019 წლის 15 ივლისიდან ლევან მიქაბერიძე სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.

ღია საზოგადოების ფონდი

1. კანდიდატის პროფესიული/ აკადემიური საქმიანობა და გამოვლენილი თვისებები/ქცევა

1. გადაწყვეტილებები, განსხვავებული აზრი, სასამართლო წარდგინებები

1.1. სამართლებრივად საინტერესო ან პრეცედენტული გადაწყვეტილებები

1.2. ჯგუფებზე/უმცირესობებზე გამოხატული პოზიცია

1.3. გახმაურებული საქმეები

სამართლებრივი საკითხი: იძულება, როგორც სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველი

ფაქტები: 2017 წლის 26 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, ლევან მიქაბერიძის თავმჯდომარეობით, მიიღო გადაწყვეტილება სს „თბილავიამშენის“ წილებისა და სააქციო საზოგადოება „თბილავიამშენის“ აქციების სახელმწიფოსთვის ჩუქების საქმეზე.

2010 წლის 27 ივნისს შედგა სს „თბილავიამშენის“ დამფუძნებელ პარტნიორთა კრება, რომელსაც კომპანიის სამივე მეწილე ესწრებოდა. მათი გადაწყვეტილებით, კომპანიის 100% უსასყიდლოდ გადასცეს სახელმწიფოს. ამასთან, სააქციო საზოგადოების აქციონერებმა იმავე პერიოდში დათმეს მათ საკუთრებაში არსებული აქციები, ასევე სახელმწიფოს სასარგებლოდ.

წილების სახელმწიფოსთვის ჩუქებამდე რამდენიმე დღით ადრე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, სს „თბილავიამშენში“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა დაიწყო საწარმოს დოკუმენტაციის შესწავლა. კომპანიიდან საგამოძიებო სამსახურმა 2003 წლიდან 2010 წლის 10 ივნისამდე არსებული საბუღალტრო დოკუმენტაცია, მიმოწერა, ხელშეკრულებები და სხვა დოკუმენტაცია ამოიღო.

სს „თბილავიამშენის“ აქციის მესაკუთრეები სასამართლოში წარდგენილ კოლექტიურ სარჩელში უთითებდნენ სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ ზეწოლაზე, რაც გახდა მათი მხრიდან წილების დათმობის საფუძველი. გადაწყვეტილებაში წარმოდგენილი მოწმეთა ჩვენებებიდან ჩანს, რომ პანტიკო თორდიას (კომპანიის ერთ-ერთი მეწილე), მიმდინარე მოვლენების დროს, უშუალოდ შეხვდა იმდროინდელი საქართველოს თავდაცვის მოქმედი მინისტრი ბაჩანა ახალაია, რის შემდეგაც ისინი წავიდნენ ეკონომიკის სამინისტროში.

მოპასუხეების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ პოზიციით, სს „თბილავიამშენის“ აქციონერების მიერ წილების დათმობის საფუძვლად მიჩნეულ იქნა საწარმოს წარუმატებელი ფუნქციონირება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო სასამართლოში.

საქმის მნიშვნელობა: მოსარჩელეები ამტკიცებდნენ, რომ მათ არ გააჩნდათ ქონების სახელმწიფოსთვის ჩუქების რეალური მოტივი და აქციების დათმობას საფუძვლად ედო იძულება სახელმწიფოს მხრიდან.

გადაწყვეტილება:

- მოსარჩელეთა ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა კომპანიის დამფუძნებელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილების (პარტნიორთა კრების ოქმის) ბათილად ცნობა სახელმწიფოსთვის 100 %-იანი წილის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. ამის მიუხედავად, გადაწყვეტილების დასაბუთების არცერთ ნაწილში სასამართლო არ აფასებს კრების ოქმის ბათილობის საფუძვლებს და შესაბამისად – სასარჩელო მოთხოვნას.
- სასამართლო ბუნდოვნად მსჯელობს მხარის მიერ სარჩელში ჩამოყალიბებულ დასაბუთებაზე, რომელიც ჩუქების ხელშეკრულების ლეგიტიმურობას ეხება, კერძოდ: **„ჩუქების ლეგიტიმური მოტივის არარსებობას სამართლებრივი მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო მოტივით დადებული გარიგების შეცილებისას. თუმცა, მოსარჩელის მხოლოდ აბსტრაქტული მითითება ჩუქების მოტივის არასებობაზე არ არის საკმარისი გარიგების მართლსაწინააღმდეგოდ აღიარებისთვის“.**
- მოსამართლემ არ მიაქცია ყურადღება და არ შეაფასა საქმეში წარმოდგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც არაერთ კითხვას აჩენდა გარიგების ნამდვილობაზე. მაგალითად, ერთდროულად ყველა მესაკუთრემ და სს „თბილავიამშენის“ აქციონერმა შემჭიდროვებულ ვადებში უსასყიდლოდ გადასცა მათ საკუთრებაში არსებული ქონება სახელმწიფოს; ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემას წინ უსწრებდა საწარმოთა ფინანსური შემოწმება და საქმეში ფიგურირებს საქართველოს იმ დროს მოქმედი თავდაცვის მინისტრი.

  მოსამართლემ ერთიანობაში არ განიხილა ზემოაღნიშნული გარემოებები, რასაც, შესაძლოა, გადაწყვეტილებაზე გავლენა ჰქონოდა.
- მტკიცების ტვირთის საკითხის გადაწყვეტისას, მოსამართლემ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება FEDOTOV v. Russia[1], რომლის თანახმად, არის შემთხვევები, როდესაც მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლია მოიპოვოს ინფორმაცია. აღნიშნული საქმის მითითების მიუხედავად, სასამართლომ არ გადაიტანა მტკიცების ტვირთი სახელმწიფოზე (არ მოსთხოვა, ემტკიცებინა საპირისპირო), თუმცა, მოსარჩელე მიუთითებდა ზეწოლის ფაქტებს.
- სასამართლოს განმარტებით, **„სარჩელის შინაარსი ფოკუსირებულია მხოლოდ პანტიკო თორდიას მიმართ განხორციელებულ იძულებაზე და ასახავს მოვლენათა განვითარებას ამ ერთი მოსარჩელის ირგვლივ“.** ამ გარემოებაზე მითითებით, სასამართლომ პრაქტიკულად არ განიხილა სხვა მოსარჩელეთა მოთხოვნები და არ გამოიკვლია მოთხოვნათა საფუძვლიანობა, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების ფაქტობრივ გარემოებებში იკვეთებოდა სხვა მოსარჩელეთა მიმართ ზეწოლა, რაც სასამართლომ არსებითად არ განიხილა.
- სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ გაუშვა იძულებით დადებული გარიგებისთვის კანონით დადგენილი შეცილების ერთწლიანი ვადა. კერძოდ, მოსამართლემ მიუთითა, რომ შეცილების ვადის ათვლა დაიწყო ჩუქების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღიდან, ვინაიდან ამ დროს დასრულდა პარტნიორებზე ზემოქმედება.
- მოსარჩელეები სააპელაციო საჩივარში აპელირებენ საქმის ინდივიდუალურ გარემოებებზე და შეცილების ვადასთან დაკავშირებით მიუთითებდნენ: **„არსებობს განსხვავება გარიგების დადებისათვის განხორციელებულ იძულებასა და მას შემდეგ არსებულ მდგომარეობას შორის, რადგან შედეგის მიღწევის შემდეგ ის პირი, რომელმაც განახორციელა ხელშეკრულების დადებაზე იძულებითი სახით ზემოქმედება, შეიძლება აღარ ახორციელებდეს აქტიურ მოქმედებებს, მაგრამ ამასთან, ერთად კვლავ არსებობდეს ზემოქმედების საფრთხე. ამიტომ, შეცილების ვადის ათვლა უნდა განხორციელდეს მხარის პიროვნული გათავისუფლების მომენტიდან, როდესაც იგი ფიქრობს, რომ მის მიმართ აღარ არსებობს რეალური საფრთხე, რომელსაც მის მოქმედებებზე ზემოქმედება შეუძლია. აღნიშნული მომენტი ცალკეულ შემთხვევებში დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის მიღებასთან, პირის საპატიმრო დაწესებულებიდან გათავისუფლებასთან და, შესაძლოა, ხელისუფლების ცვლილებასთან ან სახელმწიფოში მიმდინარე სისტემურ რეფორმებთან.“**
- აღნიშნულ დავაში მხარეები უთითებდნენ ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ზეწოლას, რომელიც სასამართლოს უნდა შეეფასებინა ხანდაზმულობის ვადის საკითხთან მიმართებით. კერძოდ, დაედგინა ხელისუფლების ცვლილების შემდგომ შეცილების ვადის ათვლის საკითხი.

---

[1] *FEDOTOV v. Russia*, ECHR (App. No. 5140/02) 2005

შენიშვნა: საქართველოს უზენაესმა სასამართლოს დიდმა პალატამ, 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებით, საქმეზე №ას-664-635-2016 დაასკვნა, რომ მოსარჩელის მიმართ იძულება, სულ მცირე, 2012 წლის არჩევნებამდე მაინც გრძელდებოდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების მსგავსად, მოცემულ საქმეშიც იკვეთებოდა პოლიტიკური ნიშნები, რაც სასამართლოს შეფასებულ გადაწყვეტილებაში არ გაუთვალისწინებია.

2. პროფესიულ საქმიანობაში გამოვლენილი გადაცდომები (დისციპლინური წარმოება, პროფესიული ეთიკა)

1. დისციპლინური წარმოება – არსებული საჩივრები

- კანდიდატის მიმართ სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება გამოყენებული არ ყოფილა.

2. პროფესიული ეთიკის ნორმების სავარაუდო დარღვევა

- ეთიკის ნორმების დარღვევა არ ფიქსირდება.

3. დაწინაურებები და პროფესიული საქმიანობისთვის მინიჭებული ჯილდოები / სტიპენდიები

1. კარიერული განვითარება

- 2006 წლის მარტიდან ივნისამდე კანდიდატი ლევან მიქაბერიძე თბილისის სააპელაციო სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების კურიერი იყო. შემდეგ იგი მუშაობს თბილისის საქალაქო სასამართლოში სხვადასხვა პოზიციაზე: ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ბიუროს კანცელარიის სპეციალისტი (2006-2007), სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის სხდომის მდივანი (2007-2009), სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის თანაშემწე (2009-2012), კანცელარიის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის სექტორის უფროსი (მარტი-ნოემბერი 2012). 2012-2013 წლებში ლევან მიქაბერიძე იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელი. 2013 წლის ნოემბერში (1 თვის განმავლობაში) ეკავა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის სამდივნოს კონსულტანტის თანამდებობა.
- 2013 წლიდან კანდიდატი ლევან მიქაბერიძე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლეა. 2016 წლის 25 ივლისს იგი სამი წლის ვადით დაინიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლედ, ხოლო 30 ნოემბრიდან უვადოდ განწესდა ამავე თანამდებობაზე. 2017 წელს ლევან მიქაბერიძე თბილისის საქალაქო სასამართლოში ახლად შექმნილი კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლედ დაინიშნა.[1]

- 2019 წლის 15 ივლისიდან ლევან მიქაბერიძე სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში.[2]

2. მიღებული ჯილდო / სტიპენდია

- მოსამართლე ლევან მიქაბერიძეს არ აქვს მიღებული ჯილდო/სტიპენდია.

---

[1] აღნიშნულთან დაკავშირებით სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ საბჭომ საკითხის სათანადოდ დამუშავებისა და ბიზნესსექტორის ჩართულობის გარეშე, ნაჩქარევად მიიღო თბილისის საქალაქო სასამართლოში კომერციული დავების ვიწრო სპეციალიზაციის შექმნის გადაწყვეტილება. ასევე, დაუდგენელი კრიტერიუმებით შეირჩა 4 მოსამართლე, რომელთა შორის იყო ლევან მიქაბერიძეც, იხ. http://bit.ly/2IN0oX5

[2] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 9 ივლისის #1/143 გადაწყვეტილებით, ლევან მიქაბერიძე დაინიშნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლედ 2019 წლის 15 ივლისიდან, იხ. http://bit.ly/2kf3Jou, ამავე საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის #1/167 გადაწყვეტილებით, 2019 წლის 15 ივლისიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე ლევან მიქაბერიძე განწესდა სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლედ. იხ. http://bit.ly/2m4VO6J

4. კანონთან კონფლიქტი, ინტერესთა კონფლიქტი

1. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები / ჯარიმები, სასამართლო დავები

- კანდიდატი ლევან მიქაბერიძე ნასამართლევი არ ყოფილა.
- მოსამართლე ლევან მიქაბერიძის მიმართ გამოყენებული არ ყოფილა ადმინისტრაციული სახდელი.
- სასამართლო დავებში კანდიდატი ლევან მიქაბერიძე არ მონაწილეობდა მხარედ.

2. პარტიული კუთვნილება, ინტერესთა კონფლიქტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრთან, კავშირი პოლიტიკოსებთან / გავლენიან ადამიანებთან

- მოსამართლე ლევან მიქაბერიძე არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი.
- კანდიდატ ლევან მიქაბერიძის კავშირი პოლიტიკოსებთან ან გავლენიან ადამიანებთან არ იკვეთება.
- მოსამართლე ლევან მიქაბერიძის და – შორენა მიქაბერიძე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს სპეციალისტი.

5. კანდიდატის საჯარო აქტივობები / პოზიციები და ქცევა

1. სოციალურ ქსელში დაფიქსირებული მოსაზრებები

კანდიდატი არ იყენებს სოციალურ ქსელებს. მას არ აქვს როგორც პერსონალური პროფილი, ისე ოფიციალური, თანამდებობასთან დაკავშირებული გვერდი.

2. ლევან მიქაბერიძის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები

2.1. განცხადება 2018 წლის ბიზნეს სამართლის ფორუმთან დაკავშირებით

2018 წელს „საქართველოს ადვოკატებმა დამოუკიდებელი პროფესიისთვის", „იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრმა" და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტმა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხარდაჭერით ბიზნეს სამართლის ყოველწლიური ფორუმი გამართეს. მოსამართლე ლევან მიქაბერიძემ ამ ფორუმის შესახებ განაცხადა: **„ვფიქრობ, რომ ამგვარი ღონისძიებების დაგეგმვით, სადაც ადვოკატთა კორპუსი მონაწილეობს, მოსაზრებების გაცვლა ხელს უწყობს სამართლებრივი პრობლემების დაძლევას. პოზიციების გაცვლა იმ ხედვებთან მიმართებაში, რომელიც პრიორიტეტულია სასამართლოსთვის, ასევე ადვოკატთა კორპუსისათვის, მნიშვნელოვანია საჭირბოროტო საკითხების დასაძლევად, რამაც სამომავლოდ ხელი უნდა შეუწყოს სამოქალაქო სტაბილურობას. ეს კი შემდგომ დადებითად აისახება ბიზნეს თუ ეკონომიკის განვითარებაზე".**[1]

2.2. განცხადება 2018 წლის აპრილში მოსამართლეთა გაცვლითი გაფართოებული პროგრამის მიერ ორგანიზებულ პირველ სასწავლო ვიზიტში მონაწილეობასთან დაკავშირებით

2018 წლის აპრილში პირველი ინსტანციის 8 ქართველი მოსამართლე იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, USAID/PROLoG-ის მოსამართლეთა გაცვლის გაფართოებული პროგრამის მიერ ორგანიზებული პირველი სასწავლო ვიზიტით. აღნიშნულ ვიზიტთან დაკავშირებით მოსამართლე ლევან მიქაბერიძემ განაცხადა, რომ აშშ-ში მიღებული გამოცდილების საფუძველზე, იგი მომავალში უფრო აქტიურად მიუთითებდა მხარეებს საქმის სავარაუდო შედეგის შესახებ, შესთავაზებდა საქმის მორიგებით დასრულებას და მორიგების პირობებს. მან ასევე აღნიშნა, რომ ამგვარი პრაქტიკა დაზოგავდა დროს და ძალისხმევას, რადგან გაათავისუფლებდა მხარეებს არარეალური მოლოდინებისგან.[2]

3. კანდიდატ ლევან მიქაბერიძის გასაუბრება იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

საბჭოს წევრის, შოთა ქადაგიძის შეკითხვა კანდიდატს: **„მე ვიცი შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ადვოკატი პროცესის დასრულების შემდეგ ფეისბუქზე წერს დადებით ან უარყოფით სტატიას კონკ-**

[1] „პაციენტებმა მათი დარღვეული უფლებების შესახებ დავა დაიწყეს – რა იყო ბიზნესსამართლის ფორუმის მთავარი საკითხები?", 2018 წლის 17 ნოემბერი, ხელმისაწვდომია – https://commersant.ge/ge/po

[2] „თბილისიდან გაცვლით პროგრამაში მონაწილე მოსამართლეები უზიარებენ კოლეგებს აშშ-ში მიღებულ გამოცდილებას", 2018 წლის 25 მაისი, ხელმისაწვდომია: http://ewmi-prolog.org/ka/news

რეტული მოსამართლის მიმართ. ამას წინასწარ, სასამართლოს თანამშრომლების მეშვეობით, აანონსებს. ამბობს, რომ შესაძლოა, მან დაწეროს ასეთი სტატია, თუ მოსამართლე არ მიიღებს მისთვის სასურველ გადაწყვეტილებას. ეს არის თუ არა გარკვეული ზეწოლა მოსამართლეზე?“

მოსამართლე ლევან მიქაბერიძის პასუხი:

შესაძლებელია იყოს შემთხვევები, როდესაც კონკრეტული საქმის მონაწილე პირი მოსამართლეს ქარცეცხლში ატარებს. მიზანმიმართულად ცდილობს მის დისკრედიტაციას, სურს, რამე ფორმით იმოქმედოს მოსამართლის ნებაზე, რათა მოსამართლემ კანონსა და პრინციპებს გადაუხვიოს და გარკვეული გავლენის ქვეშ მოექცეს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, ეს არის პრიმიტიული მეთოდი, რომელიც მოსამართლის გადაწყვეტილებაზე გავლენას ვერ მოახდენს და არ უნდა მოახდინოს. ეს არ არის იმგვარი ხასიათის ზეწოლა, რომელსაც მოსამართლე ვერ უნდა გაუმკლავდეს, თუნდაც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ჩვენ უნდა ვიყოთ მედეგნი, შეუპოვარნი, პრინციპულები, დამოუკიდებლები და ობიექტურები. ჩვენი მიზანი არის საქმის ობიექტურად და ჭეშმარიტად გადაწყვეტა.“

საბჭოს წევრის, ანა დოლიძის შეკითხვა კანდიდატს: **„რას ფიქრობთ, მოსამართლეებს რომ ჰქონდეთ უფლება, აირჩიონ სასამართლოს თავმჯდომარე?“**

მოსამართლე ლევან მიქაბერიძის პასუხი:

ვფიქრობ, რომ ამ კონტექსტში პრობლემა არ უნდა იყოს. ვერ ვხვდები, რა განსხვავება და პრიორიტეტი უნდა ჰქონდეს ჩვენ მიერ თავმჯდომარის არჩევას, რადგან თავმჯდომარემ ადმინისტრაციული ფუნქციები უნდა განახორციელოს. დღევანდელი გადმოსახედიდან, ჩემი, როგორც ინივიდუალური მოსამართლის, დამოკიდებულება თავმჯდომარის როლთან, სტატუსთან მიმართებით არის ის, რომ ნაკლებად მიჩნდება თავმჯდომარეობის ინტერესი, რადგან ჩემი გადატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, საერთოდ არ მაქვს სურვილი დამატებით ადმინისტრაციული ფუნქციები შევითავსო. გარდა ამისა, რაც მე ყველაზე მეტად მხიბლავს, არის პროცესში ჩართულობა, რათა უზრუნველვყო მართლმსაჯულება, მსიამოვნებს თვითონ პროცესი იმიტომ, რომ მირჩევნია სამოსამართლო საქმიანობა ამ ფორმით განვახორციელო და არ მქონდეს ზედმეტი ფუნქციები, ვინაიდან ზედმეტი ადმინისტრაციული ფუნქციები მოითხოვს გარკვეულ რესურსს, დროს“.

საბჭოს წევრის, სერგო მეთოფიშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„რას ნიშნავს თქვენთვის „გადაწყვეტილება უნდა იყოს კანონიერი და სამართლიანი?“**

მოსამართლე ლევან მიქაბერიძის პასუხი:

კანონი თავის თავში, a priori გულისხმობს, რომ ის უნდა იყოს სამართლიანი, ანუ მან უნდა გადაწყვიტოს არსებული პრობლემა. შესაბამისად, ჩემი მოკრძალებული აზრია, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, საკითხი გადავწყვიტოთ ჯეროვნად, ისე, რომ არ დავაზარალოთ მართლმსაჯულების ინტერესები და გადაწყვეტილება აღქმადი იყოს, როგორც კანონიერი და სამართლიანი. ჩვენ, გარდა იმისა, რომ გვაქვს საკონსტიტუციო სასამართლოსათვის მიმართვის შესაძლებლობა, გვაქვს ასევე კანონის სამართლის ანალოგიების გამოყენების შესაძლებლობა, თუკი ამ რეჟიმშიც ვერ ვექცევით და მიმაჩნია, რომ საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელია სასამართლოს როლის ჩართულობა, იმ თვალსაზრისით, რომ მე უნდა მივმართო საკონსტიტუციო სასამართლოს. მე შეიძლია მივმართო მას ამ საკითხის გადასაწყვეტად და შევაჩერო საქმის წარმოება. შესაბამისად, იმ გადაწყვეტილების ფარგლებში მივიღო გადაწყვეტილება. კანონი როდესაც კარგავს ფუნქციურ დანიშნულებას და მას არ შეუძლია საკითხის სწორად გადაწყვეტა, ის კანონი აღარ არის“.

საბჭოს წევრის, ირაკლი შენგელიას შეკითხვა კანდიდატს: **„თუ არიან სასამართლოში გავლენიანი ჯგუფები და თქვენ თუ გმართავთ ვინმე?“**

მოსამართლე ლევან მიქაბერიძის პასუხი:

მე საწყის ეტაპზეც აღვნიშნე, რომ ვარ მოსამართლე, რომელიც მართლმსაჯულებას ვახორციელებ სრული თავისუფლების ფარგლებში, ანუ კანონზე დაყრდნობით ვარ ინდივიდუალურად დამოუკიდებელი მოსამართლე. რაიმე ფორმით გავლენა, პირდაპირი თუ არაპირდაპირი, არა მხოლოდ სასამართლო სისტემაში, არამდ გარე ფაქტორებიდან არ მიგრძვნია. ვერ ვხვდები, რას ნიშნავს გავლენიანი ჯგუფი და რა გავლენა უნდა ჰქონდეს ჩემზე. ჩემი მოვალეობა და ვალდებულებაა, ჯეროვნად აღვასრულო მართლმსაჯულება, ანუ კანონის უზენაესობის გარანტი ვიყო. შესაბამისად, თუკი მე არ ვიქნები მედეგი საკუთარ თავთან მიმართებით და თავისუფალი არეალი არ მექნება, ამ ინტერესის უზრუნველყოფას, ბუნებრივია ვერ შევძლებ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩემი სამოსამართლო გამოცდილების ფარგლებში, დაწყებული ბათუმის საქალაქო სასამართლოდან, დამთავრებული ახლა რა ეტაპზეც ვიმყოფები, ვერ ვგრძნობ განსხვავებას. მე არ მყავს უფროსი. არ არსებობს სასამართლო სისტემაში უფროსი მოსამართლე და უმცროსი მოსამართლე. მოსამართლეები არიან თანასწორნი, იმ უფლებებში, რომლებიც კანონით აქვთ მინიჭებული. მოსამართლეები ყველა შესაძლებლობით არიან უზრუნველყოფილი, დამოუკიდებლად უზრუნველყონ მართლმსაჯულების განხორციელება. კიდევ ერთხელ ვაცხადებ და ვადასტურებ ფაქტს იმის შესახებ, რომ არ მსმენია ასეთი ფაქტის შესახებ. მსმენია, რადგან საუბრობენ ამის შესახებ, თუმცა, ჩემთან მიმართებით ამას ადგილი არ ჰქონია. არ მსმენია კოლეგა მოსამართლისგან, რომ მასზე რამე ზეწოლა განხორციელდა და კონკრეტულმა „ძალაუფლების მქონე“ მოსამართლემ გააკეთა ეს. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ ვერ ვხვდები, რას გულისხმობს „ძალაუფლების მქონე“. მე არ მყავს სასამართლოში უფროსი, არც ქვეშევრდომი ვარ რომელიმე მოსამართლის და ა.შ. განსხვავებები, ბუნებრივია არსებობს. ეს არის ლეგიტიმური უფლებები, რომლებიც თავმჯდომარეებს აქვთ კანონის საფუძველზე მინიჭებული. თუმცა, არამც და არამც არ ვცნობ იმას, რომ ისინი გავლენიანი მოსამართლეები არიან სხვა მოსამართლეებთან შედარებით. არც რიგითი მოსამართლე არ არსებობს. სტატუსი ყველა მოსამართლის აქვს ერთი. ეს არის თანასწორი სტატუსი. მე ძალიან გამიჭირდება ამ კითხვაზე სხვაგვარი პასუხის გაცემა. გიდასტურებთ, რომ ამგვარი ფაქტი ჩემთან მიმართებით არ გამოვლენილა და არც ჩემი კოლეგის მიმართ მსგავსი ფაქტის მსმენია“.

საბჭოს წევრის, დიმიტრი გვრიტიშვილის შეკითხვა კანდიდატს: **„რომელიმე თქვენი ნათესავი თუ მუშაობს სასამართლო სისტემაში? ამ შეკითხვას ქალაბტონი ნაზიბროლა სვამს, თუმცა, რადგან არ არის, მე დაგისვამთ ამ კითხვას“.**

მოსამართლე ლევან მიქაბერიძის პასუხი:

გიდასტურებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში მუშაობს ჩემი და, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოში მუშაობა დაიწყო 2015 წელს, იმ დროს, როდესაც სასამართლოს თავმჯდომარეობდა ბატონი მამუკა ახვლედიანი. მე მოსამართლე ვიყავი 2013 წელს. მთელი ამ დროის განმავლობაში აზრად არ გამივლია, ჩემი სტატუსი გამომეყენებინა ჩემი დის დასაქმებისთვის. მე მომიწია ბათუმში ცხოვრება სამი წლის განმავლობაში. არც კი ვიცოდი მისი სურვილი, რომ განაცხადი შეეტანა კონკურსში. ჩემი და, როგორც ვიცი, მუშაობდა მედია მონიტორინგის სამსახურში, მედია დაკვირვებებს ახორციელებდა. სასამართლოს პრეს სამსახურში ვაკანტურ ადგილას გამოცხადდა კონკურსი. ჩემმა დამ მიიღო მონაწილეობა და, დღეს არსებული მდგომარეობით, მუშაობს კანცელარიაში რეგისტრატორად, რეორგანიზაციის განხორციელების შედეგად. მას არ უკავია განსხვავებული პოზიცია და არ სარგებლობს გარკვეული პრივილეგიებით. ჩემი და არის დამოუკიდებელი ადამიანი. მას აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა ნებისმიერ საჯარო დაწესებულებაში ნებისმიერ პოზიციაზე, სადაც საჭიროდ ჩათვლის“.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით ლევან მიქაბერიძემ დამატებით ასევე აღნიშნა:

„როდესაც ჩემმა დამ დაიწყო მუშაობა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მე განწესებული ვიყავი ბათუმის საქალაქო სასამართლოში და თბილისის საქალაქო სასამართლოსთან არანაირი შემხებლობა არ მქონდა“.

5

6. კანდიდატის ფინანსური ვალდებულებები და შემოსავლები

1. უძრავი ქონება

2018
ბინა თბილისში
16 171 ₾
(40.5 კვ.მ)

2018
ბინა თბილისში
36 005 ₾
(44.9 კვ.მ)

2017
მიწის ნაკვეთი
მცხეთაში
29 052 ₾
(807 კვ.მ)

2. ფინანსები



მოსამართლე ლევან მიქაბერიძემ, 2013-2018 წლებში სამოსამართლო საქმიანობიდან 377,902 ლარი მიიღო. ბათუმის საქალაქო სასამართლოში იგი 2013-2016 წლებში მუშაობდა და მიღებულმა შემოსავალმა 192,946 ლარი შეადგინა. კანდიდატი 2016 წლის ივლისიდან თბილისის საქალაქო სასამართლოში გადავიდა და 2018 წლის ჩათვლით, ჯამში 184,956 ლარი გამოიმუშავა. ყველაზე დიდი შემოსავალი მოსამართლემ 2018 წელს აიღო, 76,275 ლარის ოდენობით.

ბოლო მონაცემების მიხედვით, მოსამართლეს უფიქსირდება 4 მიმდინარე საბანკო ვალდებულება „TBC" ბანკში, რომელიც ჯამში 51,650 ლარს შეადგენს. კანდიდატი ყოველწლიურად ფარავს სესხის მომსახურებას.

ავტორები: ედუარდ მარიკაშვილი, ანა ნაცვლიშვილი, გიორგი ბერაია, ირაკლი გვარამაძე, ზაზა აბაშიძე

რედაქტორები: დავით პაიჭაძე, გიორგი ჩიტიძე, სოფიო ასათიანი, ინა გრიგალაშვილი დიზაინი: ბესიკ დანელია

ფონდი დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის მადლობას უხდის:
სალომე კვირიკაშვილს, მარიამ ორჟონიას, ლაშა ჯუღელს, თინათინ ჭაჭუკაშვილს, გვანცა კახიძეს,
თეონა ბაბუციძეს, ხატია ნიკოლაიშვილსა და შოთა ქობალიას

მ ო მ ზ ა დ ე ბ ულ ი ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ღ ი ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ფ ო ნ დ ი ს მ ი ე რ